სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/38

ქ. თბილისი 4 აგვისტო 2022

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და კომუნიკაციების დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული რეორგანიზაციის, ადმინისტრაციის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 19 მაისის №01-06-02/24 დადგენილების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2022 წლის 08 ივლისის №0000782551 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/06 დადგენილებით დამტკიცებულ სტრატეგიული განვითარების და კომუნიკაციების დეპარტამენტის დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგის დეპარტამენტი“;

ბ) დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგის დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.“;
გ) დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები და ამოცანები განისაზღვრება დეპარტამენტში შემავალი განყოფილების მიხედვით.“;
დ) ამოღებული იქნეს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**